„პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 216 (19657) ◆ პარასკევი, 19 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მწყობრშია ახალი საამქრო

ზესტაფონის ქარხანა „საქაბელში" საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საამქრო, სადაც დადგმულია ორი დიდმწარმოებლური ნაკადური ხაზი. ამან გავლენა მოახდინა საწარმოს საერთო მაჩვენებლებზე. რვა თვის განმავლობაში ზეგეგმით გამოშვებულია 240 ათასი მანეთის პროდუქცია.

სურათზე: ახალი საამქროს უფროსი ვახტანგ გლუნჩაძე და მგრეხველი ელზა აბესაძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ა. მაჰაგარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება - არჩევნები

III ექ.-ნახევარზე მეტია, რაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში საქმიანი და დაინტერესებული ბჭობაა: მიმდინარეობს მორიგი ანგარიშგება-არჩევნები — მეტად პასუხსაგები კამპანია კომუნისტთა ცხოვრებაში, როცა მომკითხველობით აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, ყოველმხრივ აანალიზებენ საუკეთესო გამოცდილებასა და არსებულ ნაკლოვანებებს, გაზრდილად სახავენ უკეთ მუშაობის, შემდგომი წინსვლის გზებსა და პერსპექტივებს.

მართალია, სკკპ წესდება იმ ცვლილებებითურთ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ დაამტკიცა, ალარ ითვალისწინებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების გამართვას ყოველწლიურად ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ ბევრია მცირერიცხოვანი პირველადი და საამქრო ორგანიზაციები, სადაც წვრთნა რაოდენობა 15-ს არ აღემატება, აგრეთვე პარტიული ჯგუფები, რომლებშიც ათითასობით კომუნისტია გაერთიანებული. მათ შორ შემენილი ყოველი ფანდური გამოცდილება, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საყურადღებო ფორმები და მეთოდები, რომლებსაც პრაქტიკამ, თვით ცხოვრებამ მისცა საგზური, საჭიროა ყურადღებით შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ, სოლო უინიციატივო, უფერულო საქმიანობის, ფორმალიზმისა და მოჩვენებითი ფუსფუსის ფაქტები დროზე აღკვეთოთ. საამისოდ კი მთავარია ანგარიშგება-არჩევნებისადმი ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მხრივ სათანადო ყურადღების გამოჩენა, მათი ყოველდღიური კონტროლი, კრებების მუშაობაში პარტიული აქტივის, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების აპარატის- პასუხისმგებელი მუშაკების აქტიური მონაწილეობა.

წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კრებები მარტო ორგანიზაციული თვალსაზრისით როდი განსხვავდება ადრინდელისაგან. რა თქმა უნდა, ანგარიშგება-არჩევნები ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაში, მაგრამ ახლანდელი მაინც ვამორჩეულია, იგი ხომ პირველად იმართება სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ. ამიტომ ყოველი პარტორგანიზაციის, ყოველი პარტიული ჯგუფის კრებას ზუსტი, ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რა გაკეთდა მათს კოლექტივებში ყრილობიდან უკვე განვლილ პერიოდში, როგორ ხორციელდება ის პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელმა ივნისის პლენუმმა დაგვისახა? ყველგან მიმდინარეობს თუ არა მუშაობა იმისათვის, რომ მივაღწიოთ სერიოზულ გარდაქმნას როგორც საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, ისე ადამიანთა აზროვნებასა და ფსიქიკაში?

ერთი სიტყვით, განსაკუთრებული და სალაპარაკო ძალიან ბევრია. ბუნებრივია, რომ თითოეულ პარტორგანიზაციას, თითოეულ პარტჯგუფს თავისი სპეციფიკური, თავისი უშალო და კონკრეტული საზრუნავი აქვს, მაგრამ სადაც უნდა იყვნენ და მოქმედებდნენ ისინი, დღეისადაგ უნდა სრულყოფდნენ საქმიანობის სტილს, ეძებდნენ საინტერესო, მნიშვნელოვან, ქმედითს ფორმებს კოლექტივზე პარტიული გავლენის გასაძლიერებლად, ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასააქტიურებლად.

ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხს აძლევს ორიენტაციას, თუ როგორ დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ეს კი გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სულ უფრო დაჩქარებულ ტემპს, დისციპლინისა და ჭესრიგისათვის, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის აქტიურ ბრძოლას, „სამეურნეო" მექანიზმის, მართვის სტილისა და მეთოდების დაბეჯითებულ სრულყოფას. ყოველივე ამაზე კონკრეტულად უნდა იმსჯელოს ქარხანასა თუ ფაბრიკაში, შენებლობაზე თუ კოლმეურნეობაში, სტანსიონატში, სავაჭრო თუ სამეცნიერო დაწესებულებაში გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებამ. მთავარი ის არის, რომ ყველგან და ყველა მიმართულებით ნამდვილი, შეუპოვარი ბრძოლა გამოვცხადოთ დასვენებულობასა და რუტინას, ბუნგრილობასა და პასიურობას, უპასუხისმგებლობასა და უყაირათობას, ყველა უბანზე დამკვიდრდეს საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, გამდელად დაინერგოს მეურნეობრიობის ინტენსიური მეთოდები.

ხშირად ამბობენ, პატარა კოლექტივიც დიდი ძალაა. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ნათლად გვარწმუნებს იმ საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები, სადაც კომუნისტები მეტად საქმიანად, დიდი პასუხისმგებლობით მიუდგნენ თავიანთი საბრძოლო ამოცანების განსაზღვრას, სადაც კომუნისტებმა გამოავლინეს არა მარტო აქტიურობა, არამედ დიდი ინიციატივიანობაც საქვეყნო, საერთო საქმეების გადასაწყვეტად. ამის ერთ-ერთი მაგალითია ლენინგორის რაიონული საავდმყოფოს მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილების პარტიული ჯგუფის კრება. ამ ჯგუფში სულ 7 კომუნისტია. როგორც საანგარიშო მოხსენება, ისე კამათი როდი შემოიფარგლა მარტო იმით, რომ გაზარდონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა ავადმყოფთა უკეთესი მომსახურებისათვის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა თუ აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. აქ წამოაყენეს ისეთი საკითხებიც, რომლებიც სცილდება ერთი კოლექტივის ფარგლებს და საერთო ამოცანას, საერთო პრობლემას ეხება. მაგალითად, რატომ უნდა იარონ ფეხმძიმე ქალებმა კერძო გინეკოლოგებისა თუ სხვა საავადმყოფოთა ძებნაში? იქნებ სამართალდაცვითმა ორგანოებმა იფიქრონ სათანადო კანონის შემუშავებაც კი, რომ აბორტის აკრძალვის მიზნით დაწესდეს ექიმების პასუხისმგებლობა, რათა მთ უნებართოდ არ მიიღონ სხვა რაიონის მეწყვრები.

შეიძლება ეს პიროობა ზუსტად არ იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ თვითონ საკითხის დაყენება, მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მისასალმებელია.

ინიციატივიანად, საქმიანად წარიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები თბილისის საავიაციო ქარხნის საამქრო ორგანიზაციებში, ცხინვალის რაიონის ძარწვმის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის პარტორგანიზაციაში, ყვარლის მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის პარტიულ ჯგუფში და სხვაგან.

კრებებზე მოყვანილ ბევრი მაგალითი და ფაქტი, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობს, რომ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სულ უფრო მეტად ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორიც არის დიდი პასუხისმგებლობა პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, აქტიური „მისწრაფება — გადაწყვიტონ საკითხები ღრმად მოფიქრებული, მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის საფუძველზე, საღი, ობიექტური შეფასება მისცენ არსებულ მდგომარეობას. კომუნისტთა კრიტიკული და თვითკრიტიკული სკკპ-ბაასი განსაკუთრებით ეთმობა იმ საბრძოლო ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და უშრომელი შემოსავლის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ.

ამასთან ერთად დღემდე გამართული კრებების ანალიზი იმასაც თვალნათლივ მოწმობს, რომ საანგარიშო პერიოდში ყველა პარტორგანიზაცია, ყველა პარტჯგუფი როდი მოქმედებდა შემოქმედებითად და ინიციატივიანად. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი თვალს ხუჭავდა სერიოზულ ნაკლოვანებებზე და დანაშაულზეც კი, რომლებიც მათს კოლექტივებში მოხდა. სწორედ ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არადამაკმაყოფილებლად შეფასდა თბილისის კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. კომუნისტებმა ამ კრებაზე მოითხოვეს ბაზრის დირექტორის სამუშაოდან განთავისუფლება, რადგან მას ამ პოსტზე ვერ აღმოაჩნდა მებრძოლი კომუნისტის თვისებები.

მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ არადამაკმაყოფილებლად შეფასდა 23 პარტჯგუფისა და 11 საამქრო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაც.

როცა უხეიროდ მომუშავე კომუნისტთა კოლექტივების შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება აქ არ ითქვას პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელობის დონეზე. მოდით ვაღიაროთ, რომ ისინი მცირერიცხოვანი ორგანიზაციებისა და პარტჯგუფების მიმართ პირდაპირ დედინაცვლის როლში გამოდიან. იშვიათად თუ რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკი პარტიული აპარატიდან მივა, გაეცნობა უშუალოდ კომუნისტთა პატარა კოლექტივების ცხოვრებას, ადგილზე ცოცხალ ინსტრუქტაჟს გაუწევს, რჩევას მისცემს მათ. პარტჯგუფები და მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციები ხშირად მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ ხოლმე, როცა რაიკომის ან საქალაქო კომიტეტის პიროს ხსდომისათვის ვალისმოსახდელ საკითხს განიხილავენ.

სწორედ პარტიული კომიტეტების მხრივ ნაკლები ყურადღების შედეგია, რომ ზოგან საანგარიშო-საარჩევნო კრებები უფერულად, დუნედ, უინტერესოდ წარიმართა, კომუნისტებმა სათანადოდ ვერ გაიაზრეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები მომავალი საანგარიშო პერიოდისათვის.

უწრფელობა, ხშირად დუმილი, არწყუნინების პოზიცია — აი, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ქუთაისის ხის დამმუშავებელი კომბინატის სადურგლო საამქროს პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება. ეს მაშინ, როცა კომბინატში და განსაკუთრებით ამ საამქროში ბევრი ნაკლი და მოუგვარებელი საქმეა.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია მოხსენება კრებაზე. სწორედ მოხსენების ტონმა, მისმა კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა შინაარსმა, პრობლემების სწორად, ობიექტურმა განსჯამ შევრად უნდა განსაზღვროს კამათი, კომუნისტთა აქტიურობა და ინიციატივა. მაგრამ, აბა, რა დიდი ფასი ექნებოდა ხოსუნის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის აპარატის პარტიული ორგანიზაციის მდივნის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც მხოლოდ ათ წუთს გაგრძელდა და ისიც ზოგადი ფრაზებით, მოწოდებებით იყო „დამშვენებული". საერთოდ აქ სულ რაღაც 30-35 წუთში დაამთავრეს კრება, ისე, რომ კონკრეტულად ვერ თქვეს ვერაფერი მათთვის განსაკუთრებით ისეთ აქტუალურ და პრინციპულ საკითხზე, როგორც უშრომელი შემოსავლის, აგრეთვე ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა.

თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატის საქსოვი საამქროს „ა" ცვლის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხსენებაში უმთავრესად უხარისხო პროდუქციის გამოშვებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მომხსენებელმა არ დაახასელა ფაქტი, თუ რომელმა კომუნისტმა შეირცხვინა თავი, ვინ გამოუშვა წუნიანი ნაწარმი. ასეთი არაკონკურენტული, უმისამართო კრიტიკა არცთუ იშვიათია სხვა ორგანიზაციათა კრებებზეც.

სულ მალე დამთავრდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ჯგუფებში. 10905-დან კრებები უკვე გაიმართა 9.900-მდე პარტჯგუფში, 4914 საამქრო ორგანიზაციიდან 3770-ში, ხოლო 6648 მცირერიცხოვანი პირველადი ორგანიზაციიდან 683-ში. საჭიროა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ახლავე, ამოავითვე იზრუნონ მდივნებად, პარტჯგუფორგებად არჩეული აქტივის სწავლებისა და ინსტრუქტაჟისათვის. ნუ დაველოდებით ანგარიშგება-არჩევნების მთლიანად დამთავრებას. ბევრი კომუნისტი ხომ მხოლოდ პირველად აირჩიეს. სწავლება და ინსტრუქტაჟი უნდა მოეწყოს დიფერენცირებულად, სპეციფიკისა და სხვა მომენტების გათვალისწინებით. კარგა ხანია ბევრგან დამკვიდრდა პარტორგანიზაციათა მდივნების, პარტჯგუფორგების პარტიულ კომიტეტებში მიწვევის პრაქტიკა, რათა ინფორმაცია მიაწოდონ მათ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესახებ, მისცენ რჩევა მიმდინარე მუშაობის სხვადასხვა საკითხზე. ასეთი შეხვედრები ნაკლებმნიშვნელოვანი როდია. მაგრამ ისინი ზოგჯერ ფორმალურად ეწყობა ხოლმე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ახალარჩეულ პარტიულ აქტივს დაეკისრება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის მუშაობის დიდი სიძძიმე და პასუხისმგებლობა. ალბათ, საჭირო არ არის იმის განმარტება და მტკიცება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტჯგუფების, პირველადი და საამქრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ყველაზე ავტორიტეტული, პოლიტიკურად მოწიფული, ინიციატივიანი კომუნისტების დაწინაურებას.

ყოველ კრებაზე ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მშრომელებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხები საუბრის მთავარი თემა უნდა იყოს: საჭიროა კიდევ უფრო სრულყოთ პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურა, გავუმჯობესოთ კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა. დღეს ამოცანა ის არის, რომ ჩვენი პარტიის თითოეულმა ჯარისკაცმა, რა უბანზეც უნდა იღვწოდეს იგი, სწორად და ნათლად გაიაზროს თავისი ორგანიზაციის საზრუნავ-განსაკუთრებული სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სახიკეთო სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ბრძოლის საპატიო გზაზე.

შეხვედრები ყუბანელ მშრომელებთან

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 17 სექტემბერს კრასნოდარში ჩავიდა.

* * *

აეროდრომიდან მ. ს. გორბაჩოვი ტიმაშევსკის რაიონში გაემართა. გზად მან შეიარა სტანიცა ნოვოტიტაროვსკაიაში და ესაუბრა მის მცხოვრებთ.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენთან საგანგებოდ ჩამოვედი, გადაწყვეტილ ყუბანი და სტავროპოლი მოვიარა. რატომ? დიდია თქვენი მხარე, აქ თითქმის 5 მილიონი ჩვენი, საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს. გაქვთ უდიდესი მრეწველობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი სოფლის მეურნეობა, უდიდესი, საკავშირო მნიშვნელობის კურორტები. და ყოველივე ეს — მშრომელებისათვის. სწორედ ამიტომ გვაინტერესებს, როგორ მიგიდათ საქმე. ახლა, აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ ცხოვრება იცვლება. მინდა ვიცოდე, რას ფიქრობს ხალხი.

აი, რა მინდა გკითხოთ: კმაყოფილი ხართ იმით, რასაც ახლა ვაკეთებთ ქვეყანაში?

ხმა: კმაყოფილი ვართ.

მ. ს. გორბაჩოვი: ვიცი, ყუბანში უყვართ შრომა. ისიც ვიცი, რომ აქ გჭირდათ ზნეობრივი წესის, სოციალური ყაიდის დარღვევები, ჩვენი სოციალისტური მორალის ნორმებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ყოველივე ეს იყო, და თუ დღეს ეს ფაქტები ალბათ სწორია ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს ნიშნავს, რომ მათ ახლებურად გაუაზრებიათ ყოველივე ის, რასაც ქვეყანაში ვაკეთებთ, და საკუთარი პოზიცია.

ყველაფერი ხომ ადამიანის პოზიციით იწყება. თუ პოზიცია უკეთესობისაკენ შეიცვალა, მაშინ მთელი საქმეებიც უკეთესობისაკენ იცვლება.

სუხუმის დროს შეკრებილმა ამხანაგებმა თქვეს, რომ მხარს უჭერენ გადაწყვეტილებებს, პარტიამ და მთავრობამ რომ მიიღეს ლოთობის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მკვეთრად შემცირდა არყისა და დასპირტული ღვინის გაყიდვა, ვადარჩენილია შრომისუნარიანი „ასაკის ასითასობით ადამიანი. ახლა ჩვენ უნდა განვავითაროთ წვენების, ნაყინის წარმოება და ვაჭრობა, გავაფართოოთ კაფეების, დასასვენებელი ზონების, სპორტული ობიექტების ქსელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ხელს უწყობს თავისუფალი დროის გონივრულ გატარებას. და აქ არ უნდა ველოდოთ ზემოდან მითითებებს. ეს ხომ ყოველ კოლექტივს შეუძლია.

პასუხს მოვკითხავთ ყველას — პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს. ჩვენ დიდ უფლებებს ვანიჭებთ ყველს. მაგრამ უფლებების გვერდით მუდამ დგას პასუხისმგებლობა. მეტია უფლებები — მეტია პასუხისმგებლობაც. ისე არ ხდება, რომ უფლებები იყოს — პასუხისმგებლობა კი არავითარი. და სიერთოდ, როდესაც მეტ დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, ეს როდი ნიშნავს აშვებას თუ ანარქიას. ეს არის შესაძლებლობა — ერთად განვიხილოთ, გულახდილად დავაყენოთ საკითხები, ვიღვაწოთ მათი გადაწყვეტისათვის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველმა კაცმა თავის ჭკუაზე იაროს და არაარად ჩაადგოს საზოგადოება.

შეეხო რა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლას, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: ჩვენ ვგმობთ იმათ, ვინც ზოგჯერ საზოგადოების, დანარჩენი ადამიანების ინტერესების საზიანოდ მოქმედებს, არ მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმეებში, არ შეიქმნა თავისი წვლილი საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში, მოწადინებულია აისრულონ თავისი კერძომესაკუთრული მიზნები. ამასთანავე მხარში უნდა ამოუდგეთ ყველას, ვისაც პროდუქტები მოუყავს თავისი შრომითი საქმიანობის მეოხებით, ყოველ ამათგანს, ვინც საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობს უბამებს თავის ნაკვეთში შრომას. საჭიროა ყოველივე, რასაც იგი მოიწევს, რეალიზებულ იქნეს კოოპერაციასთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. მხოლოდ მაშინ იქნება ეს ნამდვილად სოციალისტური წესი.

— ამხანაგებო, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით მტკიცედ ვაცხადებ: ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, ფხიზელი ცხოვრების წესისათვის ბრძოლა პრინციპული საკითხია. საქმე ეხება ერის ჯანმრთელობას, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას, გონივრულ დასვენებას. ამ საკითხს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს. ეს ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისა და სიამტკბილობის საკითხიც არის.

ხმები: სწორია, ხალხი მხარს გიჭერთ.

შეეხო რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ამას წინათ გაზეთ „ოგონიოკ"-ის მთავარი რედაქტორის კითხვებზე პასუხის გაცემისას ერთხელ კიდევ დაწვრილებით გაშუქდა ჩვენი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირმა გაახანგრძლივა ბირთვული გამოცდის მორატორიუმი 1987 წლის 1 იანვრამდე.

ჩვენ გვაყვს შესანიშნავი ხალხი, ჩვენ გვაქვს მტკიცე პოლიტიკა, გვაქვს უდიდესი ბაზა, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია შეგადგინოთ რეალური გეგმები და ვიღვაწოთ მათი შესრულებისათვის. და ამ თვალსაზრისით ყოველი ჩვენგანისათვის მშვიდობა უდიდესი სიკეთეა. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, ვეყრდნობით ჩვენს რესურსებსა და ჩვენი წყობილების, ჩვენი სისტემის პოტენციალს. ამიტომ ჩვენს საგარეო პოლიტიკას წარმართავთ გულდაჯერებით და მტკიცედ, როგორც შეშვენის საბჭოთა კავშირს — პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია კოლმეურნეობა „ოსკრას". იგი გაეცნო მერძევეობის კომპლექსის მუშაობას, მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

კოლმეურნეებთან საუბრისას მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: პირდაპირ გეტყვით. დაახლოებით შვიდი-ათი წლის წინ, — ვინც აქ დიდი ხანია მუშაობს, დამიდასტურებს, — ხორბალს დაუძლურება დაეტყო. და მაშინ დაიწყო მუშაობა ღონიერი ჯიშების გამოსაყვანად. დღეს უკვე აღდგა უუბანური ხორბლის, შესანიშნავი პურის ძალა. მადლობა თქვენდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იცნობა მანქანური წველის ოპერატორს ა. პოლიანსკის.

მ. ს. გორბაჩოვი: რამდენი წლისა ხარ, ალექსანდრე?

ა. პოლიანსკი: 25-სა.

მ. ს. გორბაჩოვი: რად მუშაობ?

ა. პოლიანსკი: მანქანური წველის ოპერატორად.

მ. ს. გორბაჩოვი: ჯარი მოიხადე?

ა. პოლიანსკი: დიახ.

მ. ს. გორბაჩოვი: ყოჩაღ. სამრეწველო ტექნოლოგია ვიქაკაცის საქმეა.

ხმა: მთელი მაგათი ოჯახი კოლმეურნეობაში მუშაობს.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენ პირდაპირ ნათესავების სათვისტომო გქონიათ. ოჯახური დინასტიების შექმნა, ვთქვათ, ინსტიტუტსა ან ვაჭრობაში, არ ვარგა. აი მარტენთან, მინდვრად, ფერმაში — ეს საუცხოო რამ არის. ტრადიცია საჭიროა, ამხანაგებო. ჩვენ ახლა ისეთი ეტაპი დაგვიდგა, რომ ყველაფერს გადაწყვეტს ტექნოლოგიის დონე მინდვრადაც და ფერმაშიც. მე ასე ვიტყოდი: ტექნოლოგია და ტექნოლოგიური დისციპლინა.

ჩვენს ხალხს ხელეწიფება გადაწყვიტოს დიდი ამოცანები, გარჯა არ ესწავლება.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ: მოვშვა დისციპლინა რიგითს მუშაკებში, ხელმძღვანელ კადრებში. ახლა კი ვხედავთ, რა ვგიშლის ხელს ცხოვრებასა და მუშაობაში. ამიტომ უნდა მოვწესრიგდეთ, საქმეს მოვკიდოთ ხელი. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ამხანაგებო! საიმისო არაფერი გვჭირს, რომ თავად ვერ გავიტანოთ თავი, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია.

აბა, ნახეთ, როგორ გამოცოცხლდა აპრილის პლენუმის შემდეგ აზროვნება საზოგადოებაში — კოლმეურნეებს, მუშებს, ინტელიგენციას, ლიტერატორებს შორის. ყველანი ფიქრობენ ქვეყანაზე, ფიქრობენ, რა ქნან...

კმაყოფილი ვარ, რომ თქვენში გააზრებული, ღრმა მუშაობა მიმდინარეობს. და, რაც მთავარია, პერსპექტივა კარგი გაქვთ. მე ვხედავ ამ პერსპექტივას სელექციაში, სამეურნეო ანგარიშში, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებაში.

სასურსათო უბანი ფრიად მნიშვნელოვანი უბანია, ამიტომ მაღლობას მოგახსენებთ ამისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მეტს გააკეთებთ.

ხმები: გავაკეთებთ, შეეცდებით.

მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო აგრეთვე კოლმეურნეობა „ისკრის" აგროქიმიურ ლაბორატორიას. ეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა და ხარისხის მართვის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. კოლმეურნეობაში შემუშავებულია ღონიერი და ძვირფასი ჯიშების ხორბლის მიღების, საკვების დამზადების ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა. უკვე წელს მაღალხარისხოვანი პროდუქციის ჩაბარებით მიღებულმა წმინდა მოგებამ კოლმეურნეობაში მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ეწვია აგროსამრეწველო კომბინატ „უუბანს". აქ დასაბამი მიეცა ეკონომიკურ ექსპერიმენტს — თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე შეიქმნა ერთიანი საწარმოეკონომიკური კომპლექსი, რომელიც სამეურნეო ანგარიშისა და თვითანაზღაურების საფუძველზე აზორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოებას, დამზადებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას.

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა აგროსამრეწველო კომბინატ „უუბანის" ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან, წარმოების მოწინავეებთან და პირველად პარტორგანიზაციების მდივნებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გულთბილად მიესალმა შეკრებილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. პირდაპირ გეტყვით, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩამოვედი, რათა გავეცნო, თუ როგორ მუშაობენ ექსპერიმენტის პირობებში. ჩვენ შესაძლებლობა მოგეცით გემოქმედათ აქტიურად, ინიციატივიანად, გამოგეჩინათ მეურნის თაოსნობა, დემოუკიდებლობა, გესწავლათ ახლებურად მუშაობა, რათა განუხრელად უზრუნველყოთ პროდუქციის მატება, გაუფმჯობესოთ მისი ხარისხი. ამ თვალსაზრისით ტიმაშევსკელთა ექსპერიმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოაჩენს პრობლემებს მთელი მათი სირთულითა და ურთიერთკავშირით.

არის ყველაზე რთული მეცნიერებანი, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინა ხაზზე გადიან. დიახ, იქ საჭიროა აზრის შთაგონება, აღმოჩენები, მაგრამ თუ ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, ყველაზე რთული მაინც აგრარული სექტორია. მას უდიდესი კავშირი აქვს მრეწველობასთანაც და მომხმარებელთანაც.

აგრარული სექტორის პოტენციალი შეიცვალა. მას შეუძლია შეითვისოს ახალი ტექნოლოგიები, ტექნიკა. პოზიტიური პროცესებიც დაიწყო. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ჩამოვრჩებით ამოცანებს, რომლებიც წამოვაყენეთ. ამიტომ გვმართებს დავაჩქაროთ ტემპი, გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა. ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებს, თუ არ გადავეჭერით სურსათის პრობლემა.

მ. ს. გორბაჩოვმა დაწვრილებით გამოიკითხა, როგორ მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რა ეკონომიკური ეფექტი მოაქვს, რა უშლის ხელს მის განხორციელებას, რამდენად გამოსადეგია სხვა რეგიონებში?

აგროსამრეწველო კომბინატის ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა ილაპარაკეს თავიანთი კომბინატის მიღწევებსა და პრობლემებზე. შეჯამება რა შეხვედრის შედეგები, მ. ს. გორბაჩოვმა დადად შეაფასა აგროსამრეწველო კომპლექსის პირველი წარმატებები.

ამის შესახებ ილაპარაკა მან აგრეთვე ტიმაშევსკის მშრომელებთან შეხვედრაზე, რომელიც ამ რაიონული ცენტრის მთავარ მოედანზე გაიმართა.

ტიმაშევსკელებს, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი დავალება აქვთ. მათ უნდა შეამოწმონ ძალზე დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი — როგორ გავუძღვეთ შემდგომში უფრო ეფექტიანად სოფლის მეურნეობას. და იმას, რასაც რაიონს მშრომელები აკეთებენ, ალბათ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის მთელი აგროსამრეწველო კომპლექსისათვის.

თქვენი გამოცდილება, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და გასაღების სფეროს თანამშრომლების გამოცდილება, — ეს არის ყოველივე ის, რაც ჩვენ უნდა შევაკრთ ერთიან კვანძად, რათა მინდვრებში მოწეული და ფერმებში მიღებული მთელი პროდუქცია არ გვეკარგებოდეს, მაღალხარისხოვნად და დროულად მისდიოდეს მომხმარებელს.

პრობლემები, რომლებსაც თქვენ ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების საფუძველზე, ტექნიკური, ორგანიზაციული, სოციალური საკითხების გადასაწყვეტად ძალისხმევის გაერთიანების საფუძველზე წყვეტთ, — ეს არის ის, რაც საჭიროდა მთელ ქვეყანას, მთელ აგროსამრეწველო კომპლექსს.

მე კარგ შეფასებას ვაძლევ თქვენს გარჯას, თქვენს საქმეებს ექსპერიმენტის ამოცანების, იმ მიღწევების რეალიზაციისათვის, რომლებიც უკვე გაქვთ. მადლობა თქვენდა. ეს კარგი მუშაობაა, ჩვენ მას ვაფასებთ და, რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ხუთწლედში კიდევ ბევრს გააკეთებთ ქვეყნისათვის და, მაშასადამე, საკუთარი თავისათვის. ამ გამოცდილებას გამოიყენებთ ჩვენს საქმეებში ქვეყნის აგ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 12 აგვისტოს დადგენილება „საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად და მოქალაქეთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ირკუტსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ირკუტსკის ოლქის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა რამდენადმე გააძლიერეს მუშაობა საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი განისაზღვრა სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიებზე ან აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე.

მიმდინარეობს მუშაობა საბინაო მშენებლობის მოცულობათა გადიდებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 1986-1990 წლებისა და 1995 წლამდე პერიოდში ირკუტსკის ოლქის საწარმოო ძალების შემდგომი კომპლექსური განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. ოლქს დახმარება გაუძლიერეს რეპუბლიკურმა ორგანოებმა, განსაკუთრებით სარემონტო და საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების აღჭურვის დონის ამაღლებასა და სპეციალისტთა კადრებით მათი უზრუნველყოფის, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში.

გათვალისწინებულია, მეთორმეტე ხუთწლეულისათვის მეთორმეტე ხუთწლედთან შედარებით დარგში მნიშვნელოვნად გაიზარდოს საბინაო მშენებლობის მოცულობა, კაპიტალური რემონტის შემდეგ ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი სახლების ჩაბარება. სამჯერ და მეტი სახსრები ხმარდება არსებული სარემონტო და საექსპლოატაციო ბაზების განვითარებასა და ახლების შექმნას. დასახულია, გაძლიერდეს საბინაო ფონდის კონცენტრაცია ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში, 20-დან 40 პროცენტამდე გაიზარდოს მისი წილი. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს და დაინერგოს მოსახლეობის შეკვეთების მიხედვით სარემონტო მომსახურების ახალი სახეობანი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დანახარჯები ერთნახევარჯერ გაიზარდა. რამდენჯერმე ამაღლდა სახელმწიფო საბინაო ფონდის კეთილმოწყობის დონე. მოსახლეობას მიეყიდა დაახლოებით 1,4-ჯერ მეტი საშენი მასალები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში მიღებულია 400 ათასი კვადრატული მეტრი საუწყებო საცხოვრებელი ფართობი, მაშინ, როცა მთელი მეთერთმეტე ხუთწლეულის განმავლობაში მიღებული იყო 305 ათასი კვადრატული მეტრი.

ფართოდ გამოიხმაურნენ ოლქის მშრომელები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მიმართვას წლის განმავლობაში სულ ცოტა 40 საათი ომუშაონ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, ამჟამად შესრულებულია ამ ვალდებულებათა სამი მეოთხედი. სულ უფრო ვითარდება მოძრაობა საზოგადოებრივი დაცვა-შენახვისათვის საცხოვრებელი სახლების გადასაცემად.

ამავე დროს პარტიის იმ საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტა, რომ 2000 წლისათვის ყოველი საბჭოთა ოჯახი უზრუნველყოფილ იქნეს ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით, საჭიროებს მეცადინეობის შემდგომ ზრდას საბინაო მშენებლობის გაფართოების, საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. წინადადება მიეცათ აამაღლონ საბინაო კომუნალური მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. გაუძლიერონ ქმედითი კონტროლი საუწყებო ბინების მდგომარეობასა და ექსპლოატაციას. მიაღწიონ, რომ საბინაო ფონდის რემონტის მოცულობანი შეესაბამებოდეს ნორმატივებს, უთუოდ სრულდებოდეს დადგენილი საგეგმო დავალებანი

უზრუნველყონ, რომ გაუმჯობესდეს საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა და რემონტის ხარისხი და დაიცვან ვადები, გადაჭრით აღმოფხვრან ხარვეზიანი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ მიღების ფაქტები, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ საქმეში. განაზორციელონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების კუთვნილი საბინაო ფონდის რემონტის მოცულობათა ზრდის ღონისძიებანი. ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციების ძალებით დაიჩქარონ სოფლად კომუნალური სამსახურის შექმნა. ადგილობრივი საჭიროებებისათვის დარგის საწარმოო პოტენციალის გამოყენებაში მინიშნებული უფლებების შესაბამისად გააქტიურონ მუშაობა საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციის, თვისებრივი განახლებისათვის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების უფრო ფართო გამოყენებისათვის.

გაზარდონ საბინაო ფონდის სანიმუშო დაცვა-შენახვისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, უფრო აქტიურად წარმართონ მუშაობა მისი საზოგადოებრივი დაცვისათვის გადასაცემად, ყოველმხრივ განავითარონ სარემონტო სამუშაოების განხორციელებაში, საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის გაუმჯობესებაში მოსახლეობის მონაწილეობის თვითმოქმედი ფორმები, გაზარდონ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა მათთვის მიცემული ბინების მდგომარეობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარების თაობაზე პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა წარმატებული შესრულებისათვის საჭიროა, რომ სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭომ, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი საბინაო ფონდის რეკონსტრუქციის გაძლიერების, განახლებისა და მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და სამსახურების საქმიანობის გარდაქმნისათვის, შეაფასონ მათი მუშაობა იმ კონკრეტული რეალური შედეგების მიხედვით, რომლებიც ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესების მაჩვენებელი იქნება.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ევალებათ მიიღონ ზომები, რათა დროულად და ხარისხიანად განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის საბინაო ფონდის, კომუნალური საწარმოების, სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ზამთრის პერიოდისათვის მომზადება მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, სათბობით, წყლით, თბო და ელექტროენერგიით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, მათი ეკონომიური ხარჯვა, გაძლიერონ ამ მუშაობისადმი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების კონტროლი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება ეძლევა გაზარდოს მომთხოვნელობა სამინისტროებისა და უწყებებისადმი საცხოვრებელი სახლების რემონტის საგეგმო დავალებათა უთუო შესრულების, ამ მიზნით საწარმოო ბაზის განმტკიცების, ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში საბინაო ფონდის გადაცემის დაჩქარების, მოსახლეობის ბინების სარემონტო მომსახურების გაფართოებისათვის.

პალატების საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიებს რეკომენდაცია მიეცათ, განაგრძონ კონტროლი იმისადმი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 12 აგვისტოს დადგენილება. წლიური გეგმების განხილვისას გაძლიერებული ყურადღებით მოეკიდონ საბინაო ფონდის განახლების მოცულობათა ზრდის, საცხოვრებელი ბინის კაპიტალური რემონტის დავალებათა შესრულების, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან მათი სრული შეწონასწორების უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტას.

— როგორია მძღოლთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები?

— ყოველი ავტომობილი ორ ცვლად — დღე-ღამეში დაახლოებით ოც საათს იმუშაებს. სწორედ ამიტომ არის მიჩნეული თითოეულ მანქანაზე ორი მონაცვლე მძღოლი. ამდენი ხალხის საყოფაცხოვრებო დაკმაყოფილება არ არის ოლქის საქმე და ყოველი მეურნეობა მას შეძლებისდაგვარად ართმევს თავს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩამოსულების გამოუყვეს საერთო საცხოვრებლები, სასტუმროები, ხოლო იქ, სადაც ასეთი ობიექტები არ არის, საცხოვრებლად მოუმარჯვეს კლუბები, კულტურის სახლები, სხვა შესაფერისი შენობები. მეურნეობები მძღოლებს უზრუნველყოფენ კვებით, რომელიც მათი სურვილისამებრ შეიძლება პირდაპირ კალოზე მიეტანონ. საჭმლის ხარისხს აკონტროლებენ მედიკოსები. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ მძღოლებს არ მოაკლდეთ ხორცისა და ბოსტნეულის კერძები, ახალი ხილი. სადილის (სამი თავი კერძის) ღირებულება ოთხმოც კაპიკს არ აღემატება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ შრომითი დავალებების შესრულება უშუალოდ არის დამოკიდებული მუშათა ყოფა-ცხოვრების, კვების ორგანიზაციაზე. ამიტომ ვცდილობთ შაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი.

ზამთრის სამზადისი

ჯუსტად გრაფიკის შესაბამისად ემზადებიან ზამთრისათვის საქართველოს ენერგეტიკოსები. სტაბილურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს სამუშაო სიმძლავრის გეგმებსა და დავალებებს. შარშანდელზე მეტი რაოდენობით მომარაგებული მაზუთი, ხარისხიანად ჩატარებული რემონტი ენერგეტიკოსებს ნებას აძლევს დადონ მტკიცე პირობა, რომ რესპუბლიკის ეს უდიდესი თბოელექტროსადგური შეუფერხებლად გამოიმუშავებს დენს.

მაქსიმალურად არის ავსებული ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავები. მაგალითად, ენგურჰესზე ჰიდროორესურსები უზრუნველყოფენ შარშანდელზე 150 მილიონი კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგიის წარმოებას. მოეწყო კავკასიონის, გარდაბნისა და ალავერდის სისტემათშორისი ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის მუშაობის საგამოცდო კონტროლი. შემოწმებამ ცხადყო: რესპუბლიკის ყველა ენერგოსაწარმო იმსახურებს ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღებას.

და მაინც წლევანდელი შემოდგომა-ზამთრის სეზონი არნახულად დაძაბული იქნება, აღინიშნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გამართულ სასელექტორო თათბირზე, რომელიც 1986-1987 წლების ზამთრის პერიოდისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მომზადებას მიეძღვნა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დიდი მწარმოებელი და მომხმარებელი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

მომეჩინონობისათვის ბრძოლა მასობრივი, საყოველთაო-სახალხო უნდა გახდეს, ხაზგასმით ითქვა თათბირზე. წლის დამდეგიდან რესპუბლიკაში დაიზოგა 50 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მაგრამ ეს ციფრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ზოგიერთი საწარმოს უყაირათობა რომ არა. მაგალითად, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ დაგეგმილი შვიდი მილიონი კილოვატსაათი ეკონომიის ნაცვლად 50 მილიონი კილოვატსაათი გადახარჯა. საკმაო ლიმიტებით არ არის უზრუნველყოფილი მარნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, სხვა საწარმოები. გადამხარჯველებს ელექტრომომარაგება უნდა შეეწყვიტეთ მანამდე, სანამ ისინი რეჟიმში არ ჩადგებიან, — მოითხოვეს თათბირის მონაწილეებმა.

მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ზამთრისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ოროლი და ხარისხიანი მოსამზადების პრობლემებს.

ეს საკითხები ფილი სიმწვავეთ და პრიორიტეტით წამოაყენეს ადგილობრივი საბჭოებიც. ელ ენერგეტიკა — ზამთრისათვის მზადება ისევ უნდა დასრულდეს, რომ ევროვითარმა უამინდობამ ვერ დაარღვიოს წარმოების, ხალხის ცხოვრებისა და ყოფის ბუსტი, გაზომილი რიტმი, — აღინიშნა სასელექტორო თათბირზე.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

ინდუსტრიული ტექნოლოგიით

მარნეულის რაიონის წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედებმა ხუთწლედის პირველ სეზონში გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4180 ტონა ბოსტნეული. უკვე გადაჭარბებით შესრულდა ნივრის, ხახვისა და კიტრის მიწოდების გეგმა, დასასრულს უახლოვდება პამიდორის მიყიდვის გეგმაც.

სურათებზე: დიდი გადაჭარბებით ასრულებს პამიდორის კრეფის ნორმებს ახალგაზრდა მებოსტნე, სკკპ წევრობის კანდიდატი ლია ბარბაქაძე; წერეთლის საბჭოთა მეურნეობის ბალ-ბოსტნებში ალოობაა.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საქართველოში არსებულ ჩაის ფაბრიკებს მათი სიმძლავრის გაუდიდებლად შეუძლიათ გადაამუშაონ თითქმის ერთიორად მეტი სურნელოვანი ჩაის დუყები. მაგრამ ისინი მეჩაიეებს აფრთხილებენ, რომ უნდა დაიცვან ერთი პირობა: ამისათვის ყველა საწარმო დამატებით უნდა აღიჭურვოს მარტივი და შედარებით იაფი მექანიზმებით — თბოტუმბოებით. ეს აიის ჩვეულებრივი სამაცივრო აგრეგატი, მაგრამ მოქმედებს უკუსქემით: გამოიმუშავებს სითბოს და არა სიცივეს. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტთა აზრი რომ სწორია, ამას ადასტურებს სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში თბოტუმბოს გამოყენების გამოცდილება.

— როგორც ცნობილია, დუყების გადამუშავების ტექნოლოგია შეიცავს ჩაის ფოთლის ღნობას, ხმობას, — გვიხსნის საექსპერიმენტო მუშაობის არსს მისი ერთ-ერთი ავტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ვეზირიშვილი. — ეს პროცესი სრულდება სპეციალურ

პრობლემა: ძიება და გადაწყვეტა

სითბო-საჭერი

დანადგარებში, რომლებშიც უშვებენ ას გრადუსამდე გახურებულ ჰაერს. ამისათვის წვავენ მაღალხარისხოვან სათბობს. ეს პროცედურა საკმაოდ ძვირი ჯდება, თანაც მილიდან ამოსული კვამლი აბუნძურებს ჰაერს შავი ზეგისპირეთის საკურორტო ზონაში. სიცივის უქონლობა კი არათუ ართულებს მუშაობას საამქროებში, არამედ წარმოების მუშაკებს აიძულებს გაადიდონ ფაბრიკების სიმძლავრე. ნოტიო თბილი ჰაერის გარემოში ჩაის ხანგრძლივი შენახვის დროს უარესდება მისი ხარისხი, რის გამოც იგი დიდხანს არ უნდა შეეინახოთ ფაბრიკის საწყობში.

ყოველივე ამას საცდელ უბანზე თავიდან აკვაციებს თბოტუმბო. იგი მუშაობს ელექტროენერგიით, მაგრამ მისთვის ძირითადი სათბობია ცხელი ჰაერი, რომელსაც წინათ ვენტილატორებით ჩაის ფოთლის საღობინ საამქროდან ატმოსფეროში უშვებდნენ. იგივე დამუშავებული თბილი ჰაერის მეოხებით ახლა იღებენ სიცივესაც ჩაის ნედლეულის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, ფაბრიკის შენობებში შრომისა და დასვენების კომფორტული პირობების შესაქმნელად.

— თბოტუმბოები, როგორც ენერგეტიკული დანადგარები, უნივერსალურია — ამბობს სამუშაოთა მეცნიერი ხელმძღვანელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ გომელაური, — მისი „სათბობი“ შეიძლება გახდეს არა მარტო ჰაერი, არამედ ჩვეულებრივი ონკანის წყალიც, რომ არაფერი ვთქვათ თერმულ წყაროებზე ან მიწის წიაღის ბუნებრივ სითბოზე. ამ აგრეგატებს შეუძლიათ იმუშაონ მზის ენერგეტიკულ დანადგარებთან კომპლექსით. ასეთი სიმბიოზი ჩნებული საქვაბე და ცენტრალიზებული კონდიციონერი იქნება ზამთარში შენობების გასათბობად და ზაფხულობით კომფორტული პირობების შესაქმნელად, მთელი წლის მანძილზე ცხელი წყლით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

არ არის მრეწველობის ისეთი დარგი, სადაც თბოტუმბოს გამოყენება არ შეიძლებოდეს.

კ. ცხომელიძე.

ჯარგი საქმის დასაწყისი

ერთ ხელში უნდა იყოს თავმოყრილი საბინაო ფონდის დაპროექტება და რემონტი — ასეთია თბილისის საბინაო სამსახურის აზრი.

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის გრძელვადიანი პროგრამა. იგი კი გამორიცხავს ერთ შემთხვევაში გაუმართლებელ ხელმძარე რემონტს და მეორე შემთხვევაში — გაუმართლებელ დაგვიანებას; ამავე დროს — შენობის ფასადის ლამაზად მოპირკეთებასა და საერთო სამზარეულოს, „სათავსების“ ქუჩაში; დღეს — სახურავის შეკეთება, ხვალ — სადარბაზოებისა, როცა მთელი სახლი საცაა ჩამოინგრევა.

რას მისცემს ეს თბილისის მცხოვრებს? შეკეთებამდე იგი გამოვა „კომუნალური ბინიდან“ და შეავა იმავე სახლში, მაგრამ უკვე ცალკე კეთილმოწყობილ ბინაში, სადაც იქნება ყველა სათავსი. რთქმა უნდა, რემონტს ადრე თუ გვიან მაინც შეასრულებენ. მაგრამ ჯობია, რომ ეს ადრე მოხდეს! თანაც უკეთ! სწორედ ამით გამოირჩევა მეურნეობრიობის ახალი სისტემა, ვინაიდან მთელი სახსრები, მასალები, მუშახელი ერთ ხელშია თავმოყრილი.

რემონტის საქმეში ერთიანი შემკვეთის, ერთიანი მოიჯარის სისტემის შექმნაში დედაქალაქის მაგალითი შეიძლება და კიდეც უნდა გახდეს ნიმუში რესპუბლიკის მრავალი ქალაქისათვის.

საქმე კი დასაბამს იღებს კაპიტალური რემონტის პერსპექტიული დაგეგმვითა და დაპროექტებით. გასაგებია, რომ ამ საკითხებზე მუშაობენ საპროექტო ორგანიზაციები. მათ შორის ძირითადი ორგანიზაციებია საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქბინრემპროექტის“ საპროექტო კანტორა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორა, კიდევ რამდენიმე პატარა საპროექტო ჯგუფი, რომლებიც განაგებენ ცალკე გზას, ცალკე წყალსადენს. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩოო, სწორედ ისეა.

მაგრამ ამ სისტემის შექმნის არსი ის გახლავთ, რომ ცენტრალიზებული გავხადოთ ძალები, თავი მოვუყაროთ მათ ერთ ხელში, პასუხისმგებლობა ერთს დავაკისროთ და მკაცრად მოვკითხოთ მინდობილი საქმისათვის. რა თქმა უნდა, საჭიროა სტიმულებიც — მორალური, მატერიალური, რომლებიც დაინტერესებს მთელ კოლექტივს. ვის შეუძლია საპროექტო ორგანიზაციათაგან იკისროს ასეთი პასუხსაგები ტვირთი — ჰკითხა ქსენოფონტრმის კორესპონდენტმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსს **გ. დიდბარიძეს.**

— დღეისათვის ვერც ერთი საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის გრძელვადიანი პროგრამა. ეს ციფრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ზოგიერთი საწარმოს უყაირათობა რომ არა. მაგალითად, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ დაგეგმილი შვიდი მილიონი კილოვატსაათი ეკონომიის ნაცვლად 50 მილიონი კილოვატსაათი გადახარჯა. საკმაო ლიმიტებით არ არის უზრუნველყოფილი მარნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, სხვა საწარმოები. გადამხარჯველებს ელექტრომომარაგება უნდა შეეწყვიტეთ მანამდე, სანამ ისინი რეჟიმში არ ჩადგებიან, — მოითხოვეს თათბირის მონაწილეებმა.

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის გრძელვადიანი პროგრამა. იგი კი გამორიცხავს ერთ შემთხვევაში გაუმართლებელ ხელმძარე რემონტს და მეორე შემთხვევაში — გაუმართლებელ დაგვიანებას; ამავე დროს — შენობის ფასადის ლამაზად მოპირკეთებასა და საერთო სამზარეულოს, „სათავსების“ ქუჩაში; დღეს — სახურავის შეკეთება, ხვალ — სადარბაზოებისა, როცა მთელი სახლი საცაა ჩამოინგრევა.

რას მისცემს ეს თბილისის მცხოვრებს? შეკეთებამდე იგი გამოვა „კომუნალური ბინიდან“ და შეავა იმავე სახლში, მაგრამ უკვე ცალკე კეთილმოწყობილ ბინაში, სადაც იქნება ყველა სათავსი. რთქმა უნდა, რემონტს ადრე თუ გვიან მაინც შეასრულებენ. მაგრამ ჯობია, რომ ეს ადრე მოხდეს! თანაც უკეთ! სწორედ ამით გამოირჩევა მეურნეობრიობის ახალი სისტემა, ვინაიდან მთელი სახსრები, მასალები, მუშახელი ერთ ხელშია თავმოყრილი.

რემონტის საქმეში ერთიანი შემკვეთის, ერთიანი მოიჯარის სისტემის შექმნაში დედაქალაქის მაგალითი შეიძლება და კიდეც უნდა გახდეს ნიმუში რესპუბლიკის მრავალი ქალაქისათვის.

საქმე კი დასაბამს იღებს კაპიტალური რემონტის პერსპექტიული დაგეგმვითა და დაპროექტებით. გასაგებია, რომ ამ საკითხებზე მუშაობენ საპროექტო ორგანიზაციები. მათ შორის ძირითადი ორგანიზაციებია საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქბინრემპროექტის“ საპროექტო კანტორა, საქალაქო საბჭოს

როცა დისციპლინა მოულოდნელია

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ამ სამი წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა „რატიკული წერილი „ასეთი მშენებლობა?“, რომელიც მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის ახალი ტიპობრივი 150-ადგილიანი საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობის არასახარბიელო მდგომარეობაზე მოუთხრობდა მკითხველებს. მშენებლობაზე პირველი ბარი 1978 წელს დაკრა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის №7 ტრესტის „ტყიბულშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველომ; აქედან მოყოლებული 8 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შესრულდა გეგმა. მაშინ აქ ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობოდა. შემოზიდეს საჭირო კონსტრუქციები, თავი მოუყარეს ტექნიკას, მოიყვანეს მშენებელთა კომპლექსური ბრიგადები. ერთი სიტყვით, ობიექტზე მუშაობა იგრძნობოდა.

როგორც მალე გამოირკვა, ყველაფერი თურმე თვალის ასახვევად კეთდებოდა, კრიტიკის მოსაგერიებლად გამოიცოცხლებულიყვნენ. ამიტომ საქმე ისევ კუს ნაბიჯით მიჩოჩავს, მშენებლობის სახელმწიფო გეგმა 1984 წელს 42 პროცენტით, ხოლო 1985 წელს 83 პროცენტით შესრულდა.

„ტყიბულშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ახალ ხელმძღვანელობას (სამმართველოს უფროსი თ. მეფარიძე, მთავარი ინჟინერი ზ. მარუაშვილი) ცუდი მემკვიდრეობა დახვდა, მაგრამ გადამწყვეტი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად არ მიუღია. იანვარში 30 ათასი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 5 ათასი მანეთი აითვისეს. მდგომარეობა არც თებერვალსა და მარტში გამოსწორებულა. მართალია, „უკანასკნელ ხანს როგორც იყო დაიწყეს აშკარად შემცირებული გეგმის შესრულება, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. გადის ხანი და საავადმყოფოს მშენებლობას მაინც არ უჩანს ბოლო. არადა, ქალაქის მცხოვრებლებს, მეშახტეებს სამკურნალო დაწესებულება დიდი ხანია ჰაერივით სჭირდებათ. ძველი საავადმყოფოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და მას უკვე ვერავითარი შეკეთება ვერ უშველის.

გადავწყვიტეთ სამშენებლო მოედანი დაგვეთვალიერებინა, გავცნობოდით საქმის მდგომარეობას, ჩამორჩენის მიზეზებს. პირდაპირ შეგვაშფოთა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების ათვისების მიმდინარეობამ. კომპლექსის ასაგებად 2598 ათასი მანეთია გამოყოფილი. გასულილ პერიოდში მშენებლებმა მხოლოდ 1263 ათასი მანეთი აითვისეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შესასრულებელია ნახევარზე მეტი მოცულობის სამუშაო. მშენებლობა თუ ამ ტემპით გაგრძელდა, საავადმყოფოს საექსპლოატაციოდ გადაცემას კიდევ დასჭირდება 8-10 წელიწადი.

აქ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი რაიმე დისციპლინაზე, შრომის ორგანიზაციაზე. არ კმარა სამშენებლო მექანიზმები და მასალები. კომპლექსის ეზოში არ ჩანს მზრუნველი მეურნის ხელი. დილის 11 საათზე ადგილზე მხოლოდ 5 კაცი დაგვხვდა, რომლებსაც განრიგით აგურის ტიხრების აგება ჰქონდათ დავალებული. ისინი დილიდან ცემენტის ხსნარის მოლოდინში უსაქმურად ისხდნენ, მასლაათობდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ. მოდი და ამის შემდეგ ილაპარაკე შრომის დისციპლინაზე. იქვე ეყარა ქვიშა და ცემენტი. ხომ შეიძლებოდა ხსნარი დაემზადებინათ და არ გამცდარიყვნენ? მშენებელმა ინჟინერმა ლ. ბუაძემ ეს საქმე ვერ მოაგვარა და მისი უფროსებისგან ბრიგადა მთელი დღე მოცდა. შეავნიშნეთ ოთხი მოხეტიალე ელექტროშეინჯალიც.

— ერთ კვირის განმავლობაში, — გვითხრა ერთმა მათგანმა, — ჩვენ, მემონტაჟეებმა 312 კრძივი მეტრი რკინის მილები დავამონტაჟეთ, მაგრამ კიდევ ორი ამდენია დასამონტაჟებელი. დროულად ვერ გვამარაგებენ სამშენებლო მასალებით, სხვა სამუშაოც გვაქვს. საჭიროა სართულთშორის გადახურვაზე ხვრელების გაჭრა, მაგრამ ეს საქმეც ფერხდება.

ამ ლ. ბუაძემ ეს საქმე ვერ მოაგვარა და მისი უფროსებისგან ბრიგადა მთელი დღე მოცდა. შეავნიშნეთ ოთხი მოხეტიალე ელექტროშეინჯალიც.

— ერთ კვირის განმავლობაში, — გვითხრა ერთმა მათგანმა, — ჩვენ, მემონტაჟეებმა 312 კრძივი მეტრი რკინის მილები დავამონტაჟეთ, მაგრამ კიდევ ორი ამდენია დასამონტაჟებელი. დროულად ვერ გვამარაგებენ სამშენებლო მასალებით, სხვა სამუშაოც გვაქვს. საჭიროა სართულთშორის გადახურვაზე ხვრელების გაჭრა, მაგრამ ეს საქმეც ფერხდება.

ავად იმისა, რომ ნავარაუდევზე ოთხჯერ მეტი დრო გავიდა, შემკვეთმა ადგილზე ჯერ კიდევ ვერ შემონიდა მშენებლობისათვის მეტად საჭირო მოწყობილობანი. უკვე ოთხი წელია, რაც კომპლექსის ტერიტორიაზე აშენდა ელექტროვენესადგური, მაგრამ მისი მონტაჟი ფერხდება. შემკვეთი ვალდებულია ადგილზე მოიტანოს 132 დასახელების მოწყობილობა, მაგრამ ამისათვის, ეტყობა, ვერ იცლის.

დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები აქვს შესასრულებელი მექანიზაციის სამმართველოს (უფროსი გ. კაკუშაძე). მოსაწყობია საავადმყოფოს მოედანი, გასათბრელია მიწისქვეშა კომუნიკაციების არხები, მაგრამ მექანიზატორები არ ჩქარობენ.

სამშენებლო ობიექტს გუშაგი დღემდე არ ჰყავს და ნივთდება სამშენებლო მასალები, „კარგება მოწყობილობა-ინსტრუმენტები. მაგალითად, ბოროტმოქმედებმა ერთ ღამეს გატეხეს ადგილობრივი საწყობის კარი, მოიპარეს ელექტროდები და სამუშაო იარაღები. ეს ფაქტი აქ რატომღაც არავის აღელვებს და დამნაშავეებიც არავინ ეძებს.

ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა რვა წლის მანძილზე არაერთხელ შეისწავლეს და განიხილეს საავადმყოფოს მშენებლობის საკითხი, მიიღეს გადაწყვეტილება. საქალაქო გაზეთმა „ტყიბულმაც“ ამაღალა ხმა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. რაც მთავარია, არც საქართველოს მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის“ №7 ტრესტის ხელმძღვანელებს აწუხებს გაჭიანურებული მშენებლობის ბედი. ეტყობა, დაავიწყდათ კიდეც, რომ დაწყებულ მშენებლობას დამთავრება უნდა.

ვ. ციბაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

როდესაც მეგობრები მხარში გიდგანან

კეტროპავლოვსკი (ყაზახეთის სსრ). (საქინფორმის სპეც. კორ. დ. ბერძენიშვილი, ი. ნიკიფოროვი). ჭეშმარიტად საკავშირო გახდა ყამირის წლევანდელი ალოობა ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ყანებში. საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან ჩამოვიდნენ მექანიზატორები და სტვირთო ავტოტრანსპორტის მძღოლები მკაში მონაწილეობის მისაღებად. ოლქის ხუთი რაიონის მეურნეობებში შეუდგნენ მუშაობას ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილნი, რომლებმაც ძვირი დახმარების ხელი გაუწოდეს ყამირელებს.

— პირველი დღეებიდანვე, — თქვა ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ივიტორ ალექსანდრეს ძე კატენინმა, — ყამირს მთელი ქვეყანა ტეხდა, და მაინც

ფესვები

კულტურის ოსტატები

სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძის ბინა-მუზეუმის მაღალი სარკმლების გადაღმა სხაურიანი თბილისის დილა დამდგარა. გრიბოედოვის ქუჩის პატარა ჩამოსახვევი სწორედ აქ უერთდება ქალაქის მთავარ არტერიას — რუსთაველის პროსპექტს. ფერით მოსილიარულითა მრავალსხვოვანი, მრავალენოვანი და მრავალფეროვანი ნაკადი ამ ქუჩების შესაყარზე ჩერდება და შემდეგ მიისწრაფის განთქმული „ლაღიძის წყლების“ პავილიონის დარბაზში, სადაც შეგიძლია დაისვენო, შეხვა უგემრიელესი გაზიანი წყალი, იგემო ცხელ-ცხელი ხაჭაპური, მერე კი კვლავ გამოხვიდე რუსთაველზე და ვაუყვე ქუჩას ჭადრების ჩრდილში...

ბინა-მუზეუმის ოთახები სავსეა სურათებითა და ეტიუდებით, რომლებიც შეუქმნიათ თვით აკადემიკოსს და მის ვაჟს, ასევე შესანიშნავ მხატვარს ირაკლი თოიძეს; აქ არის ირაკლის განთქმული პლაკატიც, რომელიც ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყებისას შექმნა — „დედასამშობლო გვიხმობს“. ეს პლაკატი ჭეშმარიტად „კრესტომათიული“ გახდა და, რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანისათვის არის ცნობილი.

დავდივარ ამ მემორიალურ ოთახებში, თითქმის ფიზიკურად შევიგრძნობ მათს სამუზეუმო სიდარბაისლეს, მოწყენილობას ხმაურიანი ქუჩის ფუსფუსისაგან, და ღია კარს იქიდან მომესმის გივი თოიძის ხმა. იგი იხსენებს და უამბობს მუზეუმის თანამშრომელს, ჯერ კიდევ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტობის დროს, ყოველ ცისმარე დღეს როგორ მოირბენდა ხოლმე დილაადრიან ამ სახლში და ქვაბით მოიტანდა უგემრიელეს ხაშს, თბილისის სახაშეებში მთელ ღამეს რომ ამზადებენ, მოიტანდა და ავადმყოფ პაპას აჭმევდა; მეცადინეობის შემდეგ ისევ მოდიოდა, რათა რამეთი მაინც დახმარებოდა, და თუ ბატონი მოსე ცოტათი მოიხედავდა, უსათუოდ სთხოვდა გივის ეამბნა, რა დაბატეს სასწავლებელში, მერე კი სალებავს მოატანინებდა და იქვე ახატინებდა შვილიშვილს. სწორედ იმ წლების, ორმოციანის დამლევ-ორმოცდაათიანის დამდეგის წლების პაპისეული გაკვეთილები დაეხმარა ახალგაზრდა მხატვარს გაეცნობიერებინა მისთვის უმთავრესი რამ ფერწერაში: რა ეხატა, რისთვის ეხატა და როგორ ეხატა... იქნებ სწორედ აქ უნდა ვეძებოთ სათავე მისი მოწწეტული დამოკიდებულებისა ეროვნული ქართული ფერწერის ტრადიციებისადმი, რომელთა ერთგულება არათუ არ უშლიდა ხელს, არამედ, პირიქით, სულიერად ამამაღლებელი ნათელითა და კაკაბოოყვარეობის მადლით აღავსებდა მის ნამუშევრებს, ნოვატორული შინაარსითა და გამოსახატველობით რომ გამოირჩეოდა?

მაგრამ მოდით, ისევ პაპას მივუბრუნდეთ.

ეს დიდი ხნის წინათ იყო. ყველასათვის უცნობი ქართველი ჯაბუკი, ფერწერის ფანატიკური ქინინი ატანილი გლეხის შვილი, პეტერბურგის ერთ ნისლიან და ნესტიან დღეს დილიდან საღამამდე არ ამდგარა კიბის საფეხურიდან, რათა მთელ რუსეთში ცნობილ ხელოვანს — მხატვარ ილია რეპინს შეხვედროდა. რეპინთან მას წერილი გამოატანა მწერალმა მაქსიმ გორკიმ, რომელიც დიდოსტატს სთხოვდა ყურადღება მიექცია ნიჭიერი ჯაბუკის, ნამდვილი თვითნასაბიდისათვის.

ილია რეპინმა, როგორც მის ცხოვრებისეულ პრინციპებსა და ხასიათს შეშვენოდა, მოსე თოიძის პატრონობა იკისრა და შემდეგაც, ხელი რომ გაემართა წარმატების გზაზე შედგარი ჯაბუკისათვის, ხშირად ავალებდა დაეხატა მისი სურათების „შეკვეთილი“ ასლები. ცნობილია, რომ ახალგაზრდა კავკასიელი მოწაფე მისი „მოდელი“ იყო ქრისტეს თავზე მუშაობისას.

სამშობლოში, თბილისში, მოსე თოიძე დაბრუნდა მხატვარ-რეალისტად, რუსი „პერედვიჟნიკების“ იდეებისა და ტრადიციების განმგრძობად; მისი ხელშეწყობით გაიმართა ფერწერის მოძრაგი გამოფენები საქართველოში, იგი იყო თბილისში პირველი სასწავლო-სამხატვრო სტუდიის მომწყობთა შორის. სხვა რეპოლუციაურად განწყობილ კულტურის მოღვაწეებთან ერთად მოსე თოიძე ამკვიდრებდა აგიტაციური, ეპოქის მოთხოვნით მობილი ხელოვნების ეროვნულ საფუძვლებს, მან სამამულო ფერწერის ისტორიაში დატოვა დაზგური მხატვრობის ძლევრი, თავისთავადი, ხალხის ცხოვრებისადმი მიმართული კვალი.

რაც შეეხება გივი თოიძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, ბატონი მოსეს და ირაკლი თოიძეების უშუალო შთამომავალს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შესანიშნავი ნათესაობის მიუხედავად შემოქმედებაში იგი თავისი, დამოუკიდებელი გზით მიდიოდა.

იგი ეკუთვნის იმ მხატვართა თაობას, რომლებმაც პროფესიულად გამოიჩინეს თავი სამოციანი წლების დამდეგს. რა იდგა მათ უკან? რა თქმა უნდა, ომი, რომელმაც ღრმა კვალი დაიჩნია შეგნებას, ძნელ ომისშემდგომ პერიოდში გატარებული სიჭაბუკე, აღსავსე რომ იყო ამ განსაკუთრებული დროის ჭირ-ვარამით, საზრუნავითა და სიხარულით. როგორ შეიძლება დაავიწყო ნახევრად მშიერი ქალაქი, ევაკუირებულებს რომ გიეკოსთ, მწუხარება, მათ სახლში რომ დაინსადგურა, როცა უგზო-უკვლოდ დაიკარგა ფრონტზე გივის მამა ვახტანგ თოიძე (უკანასკნელი წერილი მან ყოტომირიდან გამოგზავნა); როგორ შეიძლება დაივიწყო დედის ნაადრევი გაჭაღარავება, გაჭირვებით რომ მოულოლდა იმ წლების პურს?

და ყოველივე ეს — ომიანობის ტკივილი და ჭირ-ვარამი, ქაქაცოა სახელი და ღირსება, ხელში რომ აიღეს იარაღი მშობელი მიწის დასაცავად, დედების მწუხარება და ლოდინი, ფრონტზე რომ გააცილეს შვილები, — გაფაქიზებული და გათავისებული, ზუსტად მიგნებული შთამბეჭდავი სახეებით ამეტყველდება ახალგაზრდა მხატვრის ტილოებზე...

რა თქმა უნდა, მას მაგალითად ჰყავდნენ პაპა და ბიძა, მაგრამ გივი თავიდანვე მიხვდა: როდესაც წინამორბედთა გაკვეთილებს შეითვისებ, თავად უნდა გამონახო რაღაც შენეული და მხოლოდ მაშინ განგასხვავებენ სხვებისაგან, მხოლოდ მაშინ გაღიარებენ. ყოველდღიურად საათობით მუშაობდა მოლბერტთან, მუშაობდა ჯიუტად, თავდავიწყებით, ძალზე განიცდიდა მარცხს, მაგრამ არ ეპუებოდა, თავს არ იზოგავდა, სხვაგვარად სიცოცხლე ვერ წარმოეიდგინა, და აი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

— მართალი გითხრათ, ძირძველი ქალაქელი ვარ, — ამბობს გივი, — ჩემი ქალაქი ხუთი თითივით ვიცი, ღამე თვალახვეულს შემიძლია მოვიარო იგი, და არ შეეცდები. მდინარე დაბანანკა, რომელშიც მეფიანდაზეები დიდი ჯაგრისებით რეცხავდნენ ხალიჩებს და შემდეგ თაკარა მზის გულზე გამოფენდნენ ხოლმე ქუჩაში, კომკავშირული ხეივანი, ნარიყალა და ბოტანიკური ბაღი, თათქარა მოედანი და ავლაბარი, ორთაჭალა და ზემელი — აქ ყველფერი ჩემი ღვიძლია. არასდროს მომბეზრდება ჩემი ქალაქით ტკბობა. ჩემი ქალაქის ხატვა, იმიტომ, რომ ყოველდღე ახლებურად ვხედავ. მაგრამ სოფელთანაც ძალზე მჭიდრო კავშირი მაქვს. მე, ქალაქელმა კაცმა, განსაკუთრებით სრულად დავინახე ადამიანი მის უზენაეს სულიერ გამოვლენებში — შრომითს საქმიანობაში, ბუნებასთან გაზრებულ, გონივრულ შერწყმაში...

ფართოდ არის ცნობილი თოიძის ფერწერული ნაწარმოებები სოფლის თემაზე: „საქართველო — ჩემი სიყვარული“, „შემოდგომა კახეთში“, „სამშობლო არ დაგვიგიწყებს“, „ქართული პასტორალი“ და მრავალი სხვა, რომლებმაც მტკიცედ დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი ჩვენი ქვეყნის მუზეუმების დარბაზებში.

მაინც, რით იპყრობს ყველაზე მეტად ყურადღებას მხატვრის ეს „სოფლური“ ნამუშევრები? უწინარესად, ეს არის გლეხკაცი, მშრომელი კაცი, თავის ჩვეულებრივ საქუშაო ტანსაცმელში, შალის წინდაზე მსუბუქი ჩექმები თუ რბილი წაღები რომ ჩამოუცვამს, რომლებითაც ასე მოსახერხებელია მთაში სიარული. განსაკუთრებით ძლიერია თოიძისეული გლეხკაცი: რაოდენ დიდი ვაჟკაცობა და სიჩაუქე გამოსჭვივის მის სახეში, რაოდენ დიდი ძალა იგრძნობა მის ჩამოსხმულ სხეულში, რა ამაყად დგას იგი მშობელ მიწაზე. იგი მიწის ბატონ-პატრონია, იგი თავის აღალუკმას ჭამს, მან იცის ჯაფით მოპოვებული ბედნიერების ფასი.

აი, ერთ-ერთი სურათი — „საქართველო — ჩემი სიყვარული“. ბირნახულის საშემოდგომო დღესასწაულია. მოთიბული ბალახი კოხტა ზვინებად დაუწყვიათ. იქვე გამოუყვანიათ საბალახოდ ცხენები, მოდიან მხედრები მეზობელი სოფლებიდან და, ალბათ, აზარტულ დოლს მოეკიან. მხიარული, სადღესასწაულოდ განწყობილი ადამიანები გარშემორტყმიან ორ მოუხდავეს, რომლებიც ზურნისა და დოლის ხმაზე გაშმაგებულ უტეკვენ ერთმანეთს. და ყოველივე ეს მოჩანს ძველთაძველი, მკვიდრად ნაგები ხევსურული მრავალსართულიანი კოშკების ფონზე. მხატვარი მეტყველი სახეების მთელი სისტემით ამტკიცებს: ამ სულიერად ჯანსაღ ადამიანებს მათს შეუვალ ციხე-კოშკებში ვერაფერს დააკლებს მტერი თუ ავდარი, ვერაფერი შეუშლის ხელს იშრომონ და იხარონ. ასე იყო და ასე იქნება!

გივი თოიძის სურათების გმირებს ვერასდროს ნახავ უსაქმოდ. ეტყობა, მისთვის არ არის საინტერესო, უბრალოდ მომაბეზრებელია ხატოს მუზეუმელდაკრეფილი ადამიანების პორტრეტები, საერთოდ, იგი ელტვის პორტრეტ-ნახატებს, თუ შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ: რამდენიმე სახე, ფიგურა — უაღრესად საინტერესო, დიდი ზნეობრივი და ეთნოგრაფიული აზრით გამსჭვალული კომპოზიციური ავგებულების სურათებს... მოხუცი დოლის ხმას აყოლებს თავისი უმცროსი ვაჟის სალამურს და, ეტყობა, ისეთი ცოცხალი მელოდიაა, რომ მეორე ვაჟსაც არ უთმენს გული და მკვრივდ მტევნებით დახუნძლული ხმით ხელში იწყებს ცეკვას. ცოტა ზევით კი შეყვითლებულ ვაზებში ვეებერთელა საწნახელში ჩამდგარა კიდევ სამი ჭაბუკი; ხელიხელგადახვეულნი ფეხით წურავენ ქარვისფერ კუმშ მტევნებს, საწნახელში მუქად ლივლივებს სქელი ბადაგი („შემოდგომა“).

რაც შეეხება მხატვრის ნაწარმოებებს, წმინდა ქალაქურ სიუჟეტებზე რომ არის შექმნილი, აქ იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართლაც რომ, თავის სტიქიაშია. სადაც უნდა მუშაობდეს, სახელოსნოში თუ გარეთ, იგი ნიადაგ დაეძებს და მუდამ პოულობს ამაღელვებელ მოტივებს, ჰმატებს მათ თავისი ფანტაზიის ნაწილს და ისე გადმოაქვს ტილოზე. აქ განსაკუთრებით თვალში საცემია მისი შემოქმედებითი მანერა: გადმოგვაცეს რეალობა მოულოდნელ კომპოზიციურ განზოგადებათა მეშვეობით, ოღონდ ისე, რომ ცხოვრების „კონკენტრირებულია“ სიმართლე არ გამოიყურებოდეს პირობითად. თვალს ვერ მოსწყვეტ მის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის „დილა“, „ჩემი ბავშვობის ეუთხე“, „იდგნენ და ელოდნენ“, „ნარიყალა“, „მთაწმინდა“, „ზამთარი თბილისის შემოგარეწში“, „ავლაბარი“, „ჩემს მეხსიერებაში!“ და მრავალი სხვა, რომლებშიც ყოველ ჯერზე პოულობ რაღაც ახალ, აქამდე შეუმჩნეველ და მოულოდნელ დეტალებს. შეჰყურებ ამ სურათებს და შენეულად აღიქვამ სამყაროს.

— თავდაუზოგავი და მდიდარი კაცი ვარ, — მითხრა გამომშვიდობებისას გივი თოიძემ. თავდაუზოგავი ვარ მუშაობაში, მდიდარი კი შვილებით, მე რომ დამემსგავსნენ მუშაობის ენერგია და წყურვილით. ოთხი შვილი მყავს. ორი მთგანი მალე მხატვარი დადგება. ვახტანგმა წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია, მაია კი მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოწაფეა. ასე რომ, იმედი მაქვს, ჩვენი გვარი კიდევ დიდხანს გაგრძელდება შემოქმედებითს მუშაობაში...

ლარისა მელიქ-ნუბაროვა,
ქ. თბილისი.

„ვრაკლა“, 17/IX. 1986. № 260.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ 1983 წლის 8 მაისს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ადამიანის წუხილსა და სატკივარს აქ საქმიანად ეპასუხებიან“. რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადებითი მუშაობის გამოცდილებას შეეხებოდა. მაშინ ამ წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციამ უამრავი წერილი მიიღო, ნიშანდობლივია, რომ მათი ავტორები მეტწილად ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც სასამართლოებში, კერძოდ უმაღლეს სასამართლოში ჰქონიათ საქმე და ისინი სავსებით ბუნებრივად ფიქრობენ რედაქციის პოზიციას და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ წერილის გამოქვეყნების გამო. გასაკვირი არც ის არის, რომ იყვნენ უკმაყოფილნიც, რომლებსაც მათთვის „ხელსაყრელი სამართალი“ ვერ ეპოვათ.

მაშინ ამ წერილების მიმოხილვის გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ვცანით, გამოხდა ხანი და კვლავ თვალყური რომ მივადევნეთ და გავეცანით უმაღლესი სასამართლოს საქმიანობას, გადავწყვიტეთ დავბრუნებოდით ამ თემას და დიდად სასიამოვნოდაც დაგვრჩა, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს კვლავაც ღირსეულად უპყრია მართლმსაჯულების კვერთხი.

ადამიანის თავისუფლება, მისი უფლებების, პიროვნების ღირსების დაცვა — სოციალიზმის დროშაზე წარწერილი ეს მოთხოვნები საბჭოთა მოქალაქეთათვის რეალური შინაარსით მაშინ ივსება, როდესაც მას სწამს, რომ მისი კანონიერი ინტერესების სადარაჯოზე დგანან სახელმწიფოს ყველა ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ რწმენის უქონლად, კანონიერებისა და ყველასათვის მისი ერთიანობის პრინციპის მტკიცედ დაცვის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება, საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარება. უამისოდ კი წარმოიქმნება სოციალიზმისათვის უცხო, ქვეყნის განვითარებისათვის არახელსაყრელი მოვლენები, ტენდენციები და სიძნელეები, რომლებიც აფერხებს მრავალი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას.

მართლწესრიგისა და სოციალური სამართლიანობის სადარაჯოზე, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ადმინისტრაციული, სამართალდაცვითი ორგანოები უნდა იდგნენ, რომელთა შორის ერთ-ერთი უპირველესი როლი მართლმსაჯულებას, სასამართლოს ეკუთვნის.

კანონეს დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გარდაუვალობა, სამართლის განუხრელად და გაუმრუდებლად გარიგების აუცილებლობა მტკიცედ და ურყევად უნდა სწამდეს ყოველ მოქალაქეს. უამისოდ კანონის პატივისცემა და მორჩილება ვერასოდეს იქნება ადამიანის უზენაეს მოქალაქეობრივ მოვალეობად.

მხოლოდ მართალი სამართალი აქცევს სასჯელს აღმზრდელობითს ღონისძიებად, რისთვისაც ის გამიზნულია. მხოლოდ მართალი სამართლის ქმნა შეიქმს ხმელსა ნედლად, ბოროტსა — კეთილად. სამართლიანობის სწორედ ასეთმა რწმენამ და პატივისცემამ ათქმევინა ჩვენს ხალხს: სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.

ხალხმა იცის სამართლიანობის ფასი: ხალხს ესმის უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მოსამართლისა, რომელსაც მინდობილი აქვს გადაწყვიტოს ადამიანის ბედი.

მართლმსაჯულების კარიბჭესთან დგომა და კანონ-სამართლის გარიგება, მართალი რომ საგანგებო და გამოსარჩევი საქმე და პროფესიაა. თავისი საქმის ცოდნა. და პროფესიული კეთილსინდისიერება ყველა ხელობის ადამიანს მოეთხოვება, მოსამართლე მაინც გამორჩეული უნდა იყოს პატიოსნებით, კეთილშობილებით და, რაღა თქმა უნდა, თავისი საქმის ღრმა ცოდნით, მოსამართლე ერთ-ერთი პირველთაგანია მრავალი პროფესიის ადამიანთა შორის, რომელსაც უფლება არა აქვს შეცდომა დაუშვას, არ შეიძლება, შეცდომისათვის მოსამართლეს საპატიო მიზეზი არა აქვს.

აი ამ სიმაღლიდან, ამ კრიტერიუმებით გვინდა დავანახვოთ მკითხველს და საშუალება მივცეთ თავადვე შეაფასოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო მართლმსაჯულების ის ტაძარია, სადაც საბოლოო სიტყვა უნდა თქვას სამართალმა, საბოლოოდ გადაწყვეტოს ადამიანის ბედი და ის, რაც ზემოთ მოსამართლის მაღალზეობრიობასა და დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ითქვა, ერთიათად, ერთიასად მოეთხოვება უმაღლესი სასამართლოს წევრს, რადგან მის მიერ დაშვებული შეცდომა ხშირად ძნელი გამოსასწორებელი ხდება, ზოგჯერ კი გამოუსწორებელიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დღეგანდელ შემადგენლობას, მის ხელმძღვანელობას ნათლად აქვს შეგნებული ის როლი და პასუხისმგებლობა, რომელიც მას ხალხმა ჩაუნს რთულ დროში დააკისრა (და რომ დააკისრა, ეს იმითაც გამოიხატება, რომ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობას საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ორგანოს საქმიანობის დადებითი ტენდენციები საგანგებოდ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, ითქვა, რომ განხორციელდა კადრების განმტკიცების, მათი აქტიურობის, ინიციატივის გაზრდის ღონისძიებანი. გაძლიერდა უმაღლესი სასამართლოს პლენუმებისა და პრეზიდიუმის ხელმძღვანელი როლი. თანდათან იხვეწება მისი კოლეგიების, მთელი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. გაუჯობესდა პრეზიდიუმის, საკასაციო კოლეგიებისა და პირველი ინსტანციის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, უფრო მკაცრად იცავენ საქმეთა განხილვის ვადებს. კარგი ნაყოფი გამოიღო მოქალაქეთა საჩივრების განხილვის ახალმა მეთოდიკამ, უმაღლესმა სასამართლომ რომ შემოიღო: ამის შედეგად სტაბილურად მცირდება საჩივრების რიცხვი, საყურადღებო მუშაობას ეწევიან სამართალწარმოებაში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დანერგვისათვის.

ასე რომ, დაბეჯითებთ შეიძლება ითქვას: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობა ბოლო დროს კიდევ უფრო მიზანსწრაფული და ნაყოფიერი გახდა, განხორციელდა მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის დაძლევის, საქმის განხილვის გაჭიანურების აღკვეთის, პროფილაქტიკური და ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების, აგრეთვე კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს კანონის დარღვევისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნას, როცა დამნაშავეს შეუძლებელია დაუსჯელობის, პატიების იმედი ჰქონდეს. ამ მხრივ მტაცებელთა მიმართ. ეს ის დამნაშავეები არიან, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ, ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას. ბოლო წლებში მნიშვნელოვ ინა ხელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამტაცებელთა მრავალი ორგანიზებული ჯგუფი თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, ზუგდიდში, აგრეთვე თელავის, მახარაძის, გარდაბნის, მცხეთის, ორჯონიკიძის, ქარელის, საჩხერის, ამბროლაურის, შესტის რაიონებში, მსჯავრდდებულია ასობით ბოროტმოქმედი, რის შედეგადაც ეს საქმისნები და კომბინატორები ჩამოცილდნენ სახელმწიფო საწარმოებს, უწყებებს, სამინისტროებს.

ყველა ამ ჩამოთვლილი ბოროტმოქმედთა საქმე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულია პირველი ინსტანციით. საერთოდ, უკანასკნელ ხანს უმაღლესი სასამართლო პირველი ინსტანციით განხილვისათვის გაცილებით მეტ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებს იქვემდებარებს და უზრუნველყოფს კანონიერი განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების დადგენას, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა, განსაკუთრებით რთულ და გაჭიანურებულ საქმეებს იღებს თავის წარმოებაში და ოპერატიულადაც განიხილავს, ხოლო თავისი ქვემდებარე საქმეების ქვემდგომი სასამართლოებისადმი გადაცემის უფლებას უფრო და უფრო ნაკლებად იყენებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; 1980 წელს ამ წესით სახალხო სასამართლოებს განსახილველად გადაეცა 66 სისხლის სამართლის საქმე, 1981 წელს — 17, 1982 წელს — 5, 1983 წელს — 3, ხოლო 1985 წლიდან დღემდე არც ერთი არ გადასცემია. დაახლოებით ასეთივე სურათია სამოქალაქო საქმეების განხილვის პრაქტიკაშიც.

უმაღლესი სასამართლო მტკიცედ იცავს სამართალში მიცემულის და სამოქალაქო საქმეთა მონაწილეთა ინტერესებს, ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას, ეხმარება ეკონომიკურ ორგანიზაციებს, ეხმარება ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანო

უცხოეთი

ფაქტები • მოვლენები

თვალში საცემი კონტრასტი

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი საბჭოთა მორატორიუმის შესახებ

ულან-ბატორი. სსრ კავშირის გადაწყვეტილება, ცალმხრივი წესით განაგრძოს ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი, ახალი უურცელია დაღუშებისგან კაცობრიობის სსნისათვის ბრძოლის მატიანეში. ეს განაცხადა საკვლევის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ც. ბალხაჟავმა. ასეთი გადაწყვეტილება, ისევე როგორც გაზეთ „რუდე პრავოს“ კითხვებზე მ. ს. გორბაჩოვის პასუხი, დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის რეალისტურ შეხედულებასა და ხალხის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას.

წელიწად-ნახევრის მანძილზე საბჭოთა კავშირის ბირთვულ პოლიგონებზე სიჩუმე, თქვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, და ამავე დროს დაახლოებით ოცი ბირთვული გამოცდა ნევადაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების განიარაღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მოქმედების თვალში საცემი კონტრასტია. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ბირთვული აფეთქებები ხელს უწყობს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, შეიცავს ავისმომასწავებელ საფრთხეს. მონღოლეთის საზოგადოებრიობა მთლიანად უჭერს მხარს სსრ კავშირის ინიციატივებს და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მოუწოდებს უყურად იღოს გონიერების ხმა, შეაჩეროს გამალებული შეიარაღება.

საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის სსრ კავშირის დაუცხრომელი ბრძოლა მთლიანად შეესაბამება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით, თქვა ც. ბალხაჟავმა, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა წინადადებებს აზიასა და წყნარ ოკეანეში მშვიდობისა და უშიშროების საკითხების თაობაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვლადივოსტოკში მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებსა და მის 18 აგვისტოს განცხადებაში. პლანებს ამ ნაწილში კონფრონტაციისა და დაძაბულობის გაძლიერების პირობებში გადაუდებელი პრობლემების გადაჭრის რეალურ შესაძლებლობებზე დაფუძნებულ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს არ შეიძლება არ მოჰყვეს კონტინენტის ხალხების საყოველთაო პოზიტიური რეზონანსი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც აზიის სოციალისტური ქვეყანა, მხარს უჭერს იმას, რომ მთელი დედამიწა, მათ შორის აზიის კონტინენტიც, მშვიდობისა და თანაშრომლობის ზონა გახდეს.

იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული გაბედული აქციები დიდ პოლიტიკურ სტიმულს აძლევს. მაგრამ მტკიცე მშვიდობისათვის საჭიროა გაერთიანებული მეცადინეობა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პრაქტიკული პოზიტიური მოქმედება, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ც. ბალხაჟავმა. ამას ელიან ყველა კონტინენტის ხალხები.

თეორიული დავა გრძელდება

მსოფლიო ჩემპიონის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა იოსებ დორფმანმა.

კარპოვი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა. იგი ეტლით შეიჭრა შავების ბანაკში, ჯერ მატერიალური წონასწორობა აღადგინა, შემდეგ პაიკი მოიგო. შავი ფიგურების კონსოლიდაცია შეუძლებელი იყო. როცა კარპოვმა ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი შექმნა და იგი მეექვსე ჰორიზონტალამდე მიიყვანა, მსოფლიო ჩემპიონმა წინააღმდეგობა შეწყვიტა.

მეჩვიდმეტე პარტია
კარპოვი — კასპაროვი
გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ᲛᲤ6 2. c4 g6 3. ᲛC3 d5 4. ᲛC3 ᲐG7 5. ᲚB5 dc 6. ლ:c4 0—0 7. e4 ᲐG4 8. ᲐE3 ᲛFd7 9. ᲓD1 ᲛC6 10. ᲐE2 ᲛB6 11. ᲚC5 ᲚD6 12. e5 ლ:c5 13. dc ᲛC8 14. h3 Ა:f3 15. Ა:f3 ᲐE5 16. ᲐC6 bc 17. ᲐD4 ᲐF4 18. 0—0 a5 19. ᲥFE1 a4 20. ᲠE4 ᲐH6 21. ᲐE5 a3 22. b3 ᲛA7 23. ᲓD7 ᲐC1 24. ᲥC7 ᲐB2 25. ᲛA4 ᲛB5 26. ᲥC6 ᲥFD8 27. ᲠB6 ᲠA5 28. ᲐG3 ᲛC3 29. ᲛC3 ᲐC3 30. c6 ᲐD4 31. ᲥB7. შავები დანებდნენ.

ამრიგად, ანგარიში გახდა 9,5:7,5 კასპაროვის სასარგებლოდ. მორიგი, მეთვრამეტე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲜᲛᲝᲜᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲐᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲘᲨᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲘᲨᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲧᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ც. ᲑᲐᲚᲮᲐᲟᲐᲕᲘᲡ. ასეთი გადაწყვეტილება, ისევე როგორც გაზეთ „რუდე პრავოს“ კითხვებზე მ. ს. გორბაჩოვის პასუხი, დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის რეალისტურ შეხედულებასა და ხალხის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲜᲛᲝᲜᲡ

ᲑᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲡ „ᲠᲣᲓᲔ ᲞᲠᲐᲕᲝᲡ“ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარი რედაქტორის ზდენეკ გორუენის კითხვებზე საკ. ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხის ტექსტი.

ბირთვული გამოცდების შეწყვეტისადმი, მათი სრული აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების უსწრაფესი შემუშავებისადმი დამოკიდებულება დღეს ყველაზე დამაჯერებლად მოწმობს, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდება თითოეული უდიდესი ბირთვული სახელმწიფო განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროებას, და საერთოდ მშვიდობის საქმეს, აღნიშნულია დოკუმენტში.

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲒᲐᲖᲠᲝᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ. არ არის ეკონომიკის ისეთი დარგი, მანქანათმშენებლობის მიღწევებს რომ არ ეფუძნებოდეს. ამას დამაჯერებლად ცხადყოფს მანქანათმშენებლობის საერთაშორისო ბაზრობის ექსპოზიცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში გაიხსნა.

რეკორდულია გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა — 4300 საწარმო, ფირმა, საგარეო-სავაჭრო ორგანიზაცია, რომელთა წარმომადგენლები გამოგზავნა 30 ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა. ბაზრობის კომპლექსს პავილიონები და მოედნები იტევენ ათასობით ექსპონატს — სამშენებლო ინდუსტრიის გიგანტური აგრეგატებით, რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხებით დაწყებული და ელექტრონიკის მინიატიურული ნაკეთობებით დამთავრებული. მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა ფართო ნაგერგვა ისეთ დინამიკურ დარგში, როგორიც მანქანათმშენებლობაა, გამოიხატა ახლანდელი დათვალიერების მთავარი თემატიკური სპეციალიზაციითაც — მანქანათმშენებელთა პროდუქციაში ელექტრონული ტექნიკის გამოყენება.

ამ დარგის განვითარების მაღალი დონე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში, მათი თანამშრომლობის ფართო დიაპაზონი, ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის განსამტკიცებლად განხორციელებული კოლექტიური ღონისძიებანი — ყოველივე ეს ნთლად ჩანს მოძმე ქვეყნების ექსპოზიციებში. უახლესი ტექნიკა, ჩარხები და მანქანები, რომლებსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში უშვებენ, უზრუნველყოფენ შრომის პროდუქტიულობის ზრდას, პროდუქციის მასალატევადობის შემცირებას, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას, განსაზღვრავენ მთელი ეკონომიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს. ბაზრობაზე ცალკე არიან წარმოდგენილი საერთაშორისო გაერთიანებანი „ინტერატომენერგო“ და „ინტერატომინსტრუმენტი“.

● ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. მექსიკის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ მექსიკელ ხალხს მოუწოდა გაძლიეროს ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობა. მისი ცენტრალური კომიტეტის აქ გავრცელებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პინოჩეტის რეჟიმი, რომელსაც მხარს უჭერს ვაშინგტონი, ჩილეში ახორციელებს გენოციდს ამ ქვეყნის ხალხის მიმართ. ჩილეს დიქტატურა, ნათქვამია დოკუმენტში, ერთ-ერთი ყველაზე სისტემასმაელი ლათინურ ამერიკაში. ჩილეს მხედრიონი უხეშად თელავს ადამიანის უფლებებს, უგულებელყოფს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. პინოჩეტის ხროვამ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხარდაჭერით ომი გამოუცხადა ჩილეს ხალხს. მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მექსიკელ ხალხს მოუწოდა მტკიცედ დაგმოს ჩილეს მხედრიონის დანაშაულობანი, მხარი დაუჭიროს პინოჩეტის დამხობის, ჩილეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ამ ქვეყნის ხალხთა ფართო მასების ბრძოლას.

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ-ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

ᲗᲔᲠᲛᲔᲖᲘ. ᲕᲘᲜᲓᲣᲙᲣᲨᲘᲡ ᲛᲗᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗᲘᲝᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲮᲐᲖᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲗᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲕᲢᲝ-ᲗᲔᲠᲛᲔᲖᲘᲡ“ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲛᲘᲜᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲔᲪᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲔᲪᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲠᲘᲒᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲚᲘᲜᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲮᲜᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲜᲢᲔᲑᲡ

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიცია არმიის ქვეგანაყოფების მხარდაჭერით თავს დაესხა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს, რომელიც გაიმართა დაბა შარპვილში, იოანესბურგის მახლობლად. ამ დაბის ათასობით მცხოვრები აპირებდა მარში მოეწყო მუნიციპალური საბჭოს შენობისაკენ. ისინი მოთხოვდნენ შეწყვიტონ ამ აფრიკელთა ძალით გამოსახლება, რომელბიც უარს ამბობენ გადაიხადონ საიჯარო გადასახადი ეპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დამსჯელებმა ცეცხლი დაუშინეს უიარაღო ხალხს, მოკლეს ერთი და დაჭრეს სულ ცოტა თორმეტი კაცი, თავმი ძმიმედ დაიჭრა წითელი ჯვრის მუშაკი, რომელიც ქუჩაში დახმარებას უწევდა დაზარალებულებს. ამის საპასუხოდ აფრიკელებმა პოლიციელებსა და ჯარისკაცებს ქვა დაუშინეს, ალმართეს ბარიკადები, რომლებიც ჟაბარკოლებს უქმნიდნენ არმიის ჯავშანტრანსპორტიორების მოძრაობას. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ

ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲚᲑᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ც. ᲑᲐᲚᲮᲐᲟᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲭᲔᲕᲘᲗ.

● ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ. ეთიოპიის დახმარებისა და აღდგენის კომისიამ საშახსოვრო საჩუქრები და სიგელები გადასცა საბჭოთა მფრინავებს, რომელებმაც თავი გამოიჩინეს გვალვის შედეგების დაძლევისათვის ბრძოლაში. აქ გამართულ საზეიმო ცერემონიაზე გამოსვლისას კომისიის საერთაშორისო განყოფილების გამგემ გუბიშეი დესიემ უღრმესი მადლობა მოახსენა საბჭოთა სპეციალისტებს ინტერნაციონალური ვალის პირნათელი მოხდისათვის. 18 თვის მანძილზე ისინი რთულ პირობებში შეუფერხებლად ამარაგებდნენ გვალვის მსხვერპლთ სურსათ-სანოვაგითა და სხვა უპირველესი საჭიროების საგნებით, უზრუნველყოფდნენ დაზარალებულთა ევაკუაციას ქვეყნის ნაყოფიერ რაიონებში.

● ᲐᲨᲨ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. დელაველრის შტატის უოფილმა გუბერნატორმა პიერ დიუპონმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს რესპუბლიკელთა პარტიისაგან თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

51 წლის პოლიტიკური მოღვაწე — ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის წარმომადგენელი, პირველი რესპუბლიკელი პრეტენდენტი გახდა, რომელმაც თავისი კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა თეთრ სახლში სავარძლისათვის მომავალ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. იუპონ საგენტოს ცნობით, „დიუპონი ადგას იმავე პოლიტიკურ პლატფორმას, რომელსაც პრეზიდენტი რეიგანი, მხარს უჭერს ფედერალური ხარჯების შემცირებას და „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას“.

ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲭᲓᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲘᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲚᲔᲠᲜᲘᲜᲨᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ: „ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲗ — ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. **ᲡᲐᲙᲕᲨᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.**

ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ასეთი რამ ომისშემდგომ საფრანგეთში ჯერ არ მომხდარა: დღეს მთელ ქვეყანაში სახლების კედლებზე გაჩნდა ასათასობით აფიშა იმ ორი ლიბანელის პორტრეტებით, რომლებსაც პოლიცია ეძებს. სამძებრო ორგანოებს მიაჩნიათ, რომ მათი დაპატიმრება ხელს შეუწყობს ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე პარიზში მოწყობილი ტერორისტული აქტების ორგანიზატორთა გამოვლენას. ხუთი მძლავრი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა ასზე მეტი კაცი. დაწესებულია დიდი პრემია — მილიონი ფრანკი იმისთვის, ვინც აცნობებს ტერორისტების ამბავს.

ბოლო რამდენიმე დღის საგანგაშო ამბებმა გავლენა მოახდინა ქვეყანაში საერთო-პოლიტიკურ ვითარებაზე, გამოიწვია რა შეშფოთებისა და უიმედობის ატმოსფერო როგორც მოსახლეობაში, ისე პოლიტიკურ წრეებშიც. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამ ამბებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შირაკმა გადადო ეიზიტი კანადაში, სადაც ამ თვის დამლევს აპირებდა გამგზავრებას.

მთლიანად სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებას, გზებსა და ქალაქის ქუჩებში, რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებში პოლიციის პატრულების გაძლიერებას, უშიშროების სხვა ღონისძიებებს მოსახლეობა გაგებით მოეკიდა. მაგრამ ამან გამოიწვია მასობრივი ფსიქოზი, შიში, ეჭვი და მტრობა ყველა უცხოელის მიმართ, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა მიმართ.

საფრანგეთის კომპარტია, რომელმაც გულისწყრომითი დაგმო ტერორიზმი და მოითხოვა მისი ალაგმვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში განუსჯელობა დაუშვებელია.

მემარჯვენე ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა აკვიატებული ცდები ტერორისტული აქტების ბრალეულები ეძებონ მხოლოდ ერთი მიმართულებით. ამ აქტების ჩადენა საკმაოდ შეეძლო რომელიმე ევროპულ, შესაძლოა საფრანგეთის, ტერორისტულ ჯგუფს, აცადებს, მაგალითად, გაზეთი „ფიგარო“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

19 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „პროფესია — გამომძიებელი“. III სერია. 10.50 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოფლის პორიზონტები. 16.30 — რუსული მეტყველება. 17.05 — დ. შოსტაკოვიჩი. № 9 სიმფონია. 18.20 — რუსული მუზეუმი. 18.50 — დოკუმენტური ფილმი. 19.00 — ხალხური მელოდიები. 19.15 — თანამგზავრობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 და 0.45 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში. 20.05 — მულტფილმი. 20.15 — მსოფლიო კინოკამერაში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 და 23.55 — „პროფესია — გამომძიებელი“. IV სერია. 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. IV კლასი. 10.05 და 13.40 — ინგლისური ენა. 11.05 — საზოგადოებათმცოდნეობა. 11.35 და 12.40 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — დედის სკოლა. 13.10 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი — „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“. „კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი“. 14.10 — მოხატვის ხელოვნება. 14.55 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლებთან ტ. ი. ეონჩარეგასთან, გ. ლ. კოროლიოვასთან და ნ. ნ. ზახაროვასთან. 15.25 — დრამატურგია და თეატრი. დ. ი. ფონვიზინი. „უმწიფარა“. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მოგზაურთა კლუბი. 20.15 — კონცერტი. 20.35 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 20.50 — კალათბურთი. ვაჟები. ლენინგრადის „სპარტაკი“ — კაუნასის „ჟალგირისი“. 21.30 — ყველასა და თითოეულისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საბჭოური სიმღერისა და საესტრადო მუსიკის კონცერტი. 23.50 — ძიუდო. 0.20 — ახალი ამბები.

ᲙᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲚᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

19 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დოკუმენტური ფილმი „დინამო—ძალა მოძრაობაში“. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მე აქ ვცხოვრობ“. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „კონსტანტინე პაუსტოვსკი შემოდგომასთან განმარტებით“. 17.35 — მულტფილმები. 18.05 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.45 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასტრახანი“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — „წიგნის მოყვარულთა კლუბი“. (გადაცემა ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს). 19.45 — დღეს მსოფლიოში. (მ.). 20.00—ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.). 20.05—მოამბე. 20.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „განსაკუთრებული საამქრო“. 20.50 — კალათბურთი. თბილისის „დინამო“ — რიგის „ვეფი“. 21.30 — სისუფთავეა იქ, სადაც არ ანაგვიანებენ. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სისუფთავეა იქ, სადაც არ ანაგვიანებენ. 23.35 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარძია“.

მეორე პროგრამა. 16.35 — საბერძნეთის „აეკი“ — 2:0, უერდინგენის „ბაიერი“ გფრ-გდრ-ის „კაარლ ცეისი“ — 3:0.

ყველა სათასო ტურნირის განმეორებითი მატჩები გაიმართება 1 ოქტომბერს.

ᲩᲝᲒᲑᲖᲣᲠᲗᲘ. თბილისის „დინამოს“ და ჩოგბურთის სასახლის კორტებზე დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც „გრან-პრის“ ჩათვლაში შედის. ასპარეზობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, პოლონეთის